სოციალური უფლებები და ცხოვრების ხარჯების კრიზისი

მხარე სახელმწიფოთა სპეციალური (ad hoc) ანგარიშების მიმოხილვა ცხოვრების ხარჯების კრიზისის შესახებ

სოციალური უფლებებისა და ცხოვრების ხარჯების კრიზისის მიმოხილვა პირველი შემთხვევაა, როცა სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა (ECSR) განიხილა მხარე სახელმწიფოთა სპეციალური ანგარიშები. ეს მიმოხილვა **ზოგადად აფასებს** ცხოვრების ხარჯების კრიზისის გავლენას სოციალურ უფლებებზე ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, ასევე, ზომებს, რომლებიც სახელმწიფოებმა მიიღეს კრიზისზე რეაგირებისათვის.

დოკუმენტში ECSR განმარტავს სოციალური ქარტიის მოთხოვნებს ისეთ სიტუაციებში, როცა აუცილებელი საჭიროებების ხარჯები ბევრად აღემატება ოჯახის საშუალო შემოსავალს, და იძლევა მითითებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მხარე სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ სამოქმედო ჩარჩოს სახით.

ქარტიის უფლებათა დაცვა ყველას სასარგებლოდ არა მხოლოდ აუცილებელია, არამედ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანიც არის ეკონომიკური აღდგენის, სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული სტაბილურობისთვის. ცხოვრების ხარჯების ამჟამინდელი კრიზისიდან ევროპის გამოსვლის კვალდაკვალ, ამ უფლებებისადმი ურყევი ერთგულება გადამწყვეტია უფრო სამართლიანი და მედეგი საზოგადოების ასაშენებლად.

ECSR-ის ძირითადი გზავნილები

1. პოლიტიკის შემქმნელებმა რეგულარულად უნდა შეიტანონ ცვლილებები **მინიმალურ ხელფასში**, ან ავტომატური ინდექსაციით, ანდა პერიოდული გადახედვით, რათა ის შეესაბამებოდეს ეროვნული საშუალო ხელფასის, სულ მცირე, 60%-ს და დაცული იყოს მოქალაქეთა მსყიდველუნარიანობა ცხოვრების ხარჯების კრიზისის პირობებში.

2. ენერგორესურსების ღირებულება მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოსახლეობისთვის. მთავრობებმა მონიტორინგი უნდა გაუწიონ ენერგეტიკული სიღარიბის დონეს, მიზნობრივი დახმარება მიაწოდონ ყველაზე დაზარალებულებს და დანერგონ გრძელვადიანი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ, უწყვეტ და უსაფრთხო წვდომას **შესაბამის ენერგიაზე.**

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

3. საცხოვრებელი ყველაზე დიდი ხარჯია შემოსავლის მქონე ყველა ჯგუფისთვის, ცხოვრების ხარჯების კრიზისმა კი გაამწვავა არსებული საცხოვრებელი პრობლემები. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ქირის ხელმისაწვდომობა, პრიორიტეტი მიანიჭონ მოწყვლად ოჯახებს სოციალური საცხოვრებლით უზრუნველყოფისას და აღკვეთონ გამოსახლება ქირასთან/საცხოვრებელთან დაკავშირებული დავალიანების გამო.

4. სოციალური დაცვა ქარტიის ფუნდამენტური კომპონენტია. ინფლაციის ზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა სოციალური შემწეობებისა და დახმარებების რეალური ღირებულება, რის გამოც ბენეფიციარები ვეღარ ახერხებენ აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ დახმარებათა ადეკვატურობის შესანარჩუნებლად – მათ შორის, ინფლაციის დონეზე მორგებით – და მხარი დაუჭირონ ყველაზე დაზარალებულ ჯგუფებს.

5. საკვების ღირებულების ზრდამ ცხოვრების ხარჯების კრიზისის პერიოდში ზოგიერთი ჯგუფი ძირითადი საჭიროებების გარეშე დატოვა, რაც ზეგავლენას ახდენს ქარტიით გარანტირებულ უფლებებზე განათლების, ჯანმრთელობის, სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის შესახებ. სახელმწიფოები უნდა გადავიდნენ დროებითი დახმარებიდან და მხარდაჭერის უკიდურესი ზომების გამოყენებიდან (მაგ. სასურსათო ბანკები) გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე, რათა ყველას (განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს), ჰქონდეს წვდომა საკმარის, ხარისხიან საკვებზე.

6. ცხოვრების ხარჯების კრიზისმა არაპროპორციულად იმოქმედა **დაბალშემოსავლიან ოჯახებზე, ბავშვებზე, ახალგაზრდებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ხანდაზმულებზე, ლგბტი პირებზე, მარგინალიზებულ ჯგუფებზე, ეთნიკურ უმცირესობებსა და მიგრანტ ოჯახებზე.** მხარე სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, შეაგროვონ ყოვლისმომცველი მონაცემები, პრიორიტეტი მიანიჭონ გრძელვადიან ზომებს და შინაარსიანი კონსულტაციები გაიარონ დაზარალებულ ჯგუფებთან მიზნობრივი დახმარების დაგეგმვისას.

7. ქალებზე განსაკუთრებულად მძიმედ იმოქმედა ცხოვრების ხარჯების კრიზისმა. მთავრობებმა უნდა მიიღონ გენდერულად მგრძნობიარე ეკონომიკური პოლიტიკა, რათა დაძლიონ ქალთა ფინანსური მოწყვლადობა, კრიზისთან დაკავშირებული ზომები კი ითვალისწინებდეს მათ სპეციფიკურ საჭიროებებს.

8. ცხოვრებისხარჯებისკრიზისისდროს,მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველაზე დაზარალებულ პირთა არსებითი მონაწილეობა და **კონსულტაციები** იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში, რომლებიც შეეხება მათთვის ქარტიით გარანტირებულ უფლებებს.

9. ცხოვრების ხარჯების კრიზისის არსებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოებს ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან. ქარტიის უფლებების ყველასთვის დაცვა ხელს უწყობს **ეკონომიკურ აღდგენას, სოციალურ სამართლიანობასა და დემოკრატიულ სტაბილურობას.**

10. სოციალურ უფლებათა დაცვა პირდაპირ უწყობს ხელს სიღარიბისა და სოციალური გარიყვის შემცირებას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და მეტი შესაძლებლობის შექმნას ყველასთვის.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE